




საქართველოს  
საპატრიარქოს  
პრესცენტრის  
ყოველკვირეული  
გამოცემა

20-26 დეკემბერი 2018 წ. გამოცემა 1999 წლის 8 იანვრიდან  
ფასი 70 თეთრი

კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს გულოცავეთ აღსაყდრების 41 წლისთავს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს  
ერთაშორის მშვიდობისა და მეგობრობის გაღრმავებაში  
შეჭანილი წვლილისთვის სპეციალური ჭილღო გადაეცა

- ✠ ამონარიდები ქადაგებებიდან
- ✠ ქრონიკა. ინფორმაცია.
- ✠ ათი კეთროვანის განკურნება
- ✠ „გულისხმა-ჰყოფდით, რაი-იგი არს ნებაი ღმრთისაი“
- ✠ „ადმოსავლეთი და დასავლეთი - კულტურათა დიალოგი“
- ✠ ამერიკელი ფილოსოფოსის ლეჰცია-სემინარები ახალი საქართველოს უნივერსიტეტში
- ✠ ნიდა მონაჰე მეფე ვახტანგ მესამე
- ✠ მღვდელი მაქსიმე ჭუმბაკი 1854-1935

ფოთისა და სოხის ეპარქია

# ახალი საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო სერია

## „აღმოსავლეთი და დასავლეთი - კულტურათა დიალოგი“





ცოდნის შექმნის მარად მზარდი პერსპექტივა მოიცავს განსხვავებულ ენობრივ, გეოგრაფიულ, რელიგიურ, ეთნიკურ და პოლიტიკურ სივრცეთა სიღრმისეულ კომუნიკაციას. ალტერნატივა არ გააჩნია კულტურათაშორის დიალოგისა და მსოფლიოში დავანებული სიბრძნის ურთიერთგაზიარების პროცესს. კულტურათა დიალოგის მეთოდოლოგიური პრინციპით გააზრება სხვადასხვა კულტურათა შორის არსებულ შრეებს ერთმანეთთან აკავშირებს და ცალმხრივობისგან იცავს ამა თუ იმ სააზროვნო სივრცეს. ამგვარი მიდგომის სანიშნო მაგალითად მიგვაჩნია ახალი საქართველოს უნივერსიტეტის კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის სამეცნიერო სერია „აღმოსავლეთი და დასავლეთი - კულტურათა დიალოგი“ (სერიის რედაქტორ-გამომცემლები: თენგიზ ირემაძე და ჰელმუტ შნაიდერი), რომლის ფარგლებშიც უკვე რვა ტომია გამოცემული ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულებით.




სერიის პირველ ტომში წარმოდგენილია გერმანელი მეცნიერის, პროფ. ჰელმუტ შნაიდერის ნაშრომი „ძენ-ბუდიზმის ესთეტიკა, ვაბი-საბი და მშვენიერების ევროპული იდეა“ (2012 წ.). ნაშრომის ავტორი განიხილავს აღმოსავლური ესთეტიკის, საკუთრივ, ხელოვნებისა და მშვენიერების იდეას იაპონურ ძენ-ბუდიზმში. ასევე, საუბარია ესთეტიკური პრაქტიკის ფორმაზე, შეგრძნებებითა და აღქმებით გამოხატულ მდგომარეობაზე, „ვაბი-საბი“-ზე, რომელიც მშვენიერების დასავლურ იდეას უპირისპირდება და არაესთეტიკური კატეგორიებით ხასიათდება (ბნელით, ფერების გამორიცხვით, წარმავლობის განცდითა და წუ-

ხილით). ნაშრომის ბოლოს კი ავტორი გამოკვეთს ხელოვნების იმ ფორმას, რომელშიც მშვენიერებისა და ხელოვნების აშკარა განცალკევება ხდება და თავისი შინაარსით ქრისტიანული რელიგიის ეპოქასა და გამოხატვის ფორმას შეესატყვისება.

სერიის მეორე ტომში წარმოდგენილია ფილოსოფიის დოქტორის, გიორგი თავაძის ნარკვევი „რუკების ძალა. გელათი და კავკასიური ფილოსოფიის ცნება ინტერკულტურული ფილოსოფიის კონტექსტში“ (2013 წ.). ავტორის მიერ ფილოსოფიური გეოგრაფიისა და ინტერკულტურული ფილოსოფიის საფუძველზეა გააზრებული ევროპული აზროვნების ცალმხრივი მიდგომები. წიგნში წინა პლანზეა წამოწეული პროფ. თენგიზ ირემაძის ნაშრომებში განვითარებული „კავკასიური ფილოსოფიის“ ცნების ინტერკულტურული მნიშვნელობა. ავტორი, კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტში, მოკლედ წარმოგვიდგენს ქართული აზროვნების გენეზისს შუა საუკუნეებიდან ვიდრე XX საუკუნეებამდე. კავკასიის რეგიონის სააზროვნო ტრადიცია განხილულია, როგორც „გზაგასაყარზე“ (თ. ირემაძე) აღმოცენებული სააზროვნო ტოპოსი და ნაჩვენებია მისი თვითმყოფადი ხასიათი.

სერიის მესამე ტომში წარმოდგენილია პროფ. თენგიზ ირემაძე თავისი ნაშრომით - „პითაგორა კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტში“ (2014 წ.). ავტორი განიხილავს პითაგორასა და მისი ფილოსოფიის რეცეფციის საკითხებს კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტში. დასმული საკითხი განხილულია გვიანანტიკური, შუა საუკუნეებისა და ახალი დროის კავკასიელ მოაზროვნეთა პერსპექტივიდან. ავტორის მიერ დეტალურად არის ნაჩვენები პითაგორას ფილოსოფიის რეცეფცია და





ტრანსფორმაცია დავით უძღველის, იოანე პეტრიწისა და ახალი დროის ქართულ აზროვნებაში. საგანგებო მსჯელობის საგანია დავით უძღველი და პითაგორას მოძღვრების მისეული რეცეფცია; ასევე, გამოკვეთილია პითაგორას რიცხვთა თეორიის ორიგინალური ინტერპრეტაცია იოანე პეტრიწის მიერ. ნაჩვენებია პეტრიწის თარგმანისა და კომენტარის საგანგებო მნიშვნელობა და ღირებულება პროკლეს „თეოლოგიის საწყისების“ კვლევებისა და შესწავლის საქმეში. ვრცლად არის წარმოდგენილი პითაგორას მოძღვრების განსხვავებული მიდგომები ახალი დროის ქართულ აზროვნებაში და შეფასებულია მისი როლი ქართული აზროვნების ჩამოყალიბების პროცესში.

სერიის მეოთხე ტომში მოცემულია ასოცირებული პროფესორის გიორგი ხუროშვილის ნაშრომი „იერუსალიმი და ათენი. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კონტექსტი“ (2015 წ.). მასში ფართოდ არის გაშლილი ცოდნისა და რწმენის ურთიერთმიმართების საკითხები. ავტორი ჯერ პერმან კოპენისა და ლეო შტრაუსის, ხოლო შემდეგ კი შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიის ქრილში გაიაზრებს იერუსალიმისა და ათენის პარადიგმატულ ცნებებს. ფილოსოფიური ურბანისტიკის პერსპექტივიდან კი შეფასებულია იერუსალიმისა და ათენის საზღვრო კონცეპტის სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ასპექტები.

სერიის მეხუთე ტომში წარმოდგენილია თენგიზ ირემაძის ნარკვევი „რელიგია, შემწყნარებლობა, სახელმწიფო“ (2016 წ.). პროფ. თ. ირემაძე საგანგებოდ განიხილავს რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების საკითხებს. აქ ავტორი ეფუძნება თეოფილ ლესინგის (1647-1735 წწ.) ნაშრომს „რელიგიური შემწყნარებლობის შესახებ“ და მეცნიერული არგუმენტაციის კუთხით სამ ძირითად მომენტს განასხვავებს: თეოლოგიური, პოლიტიკური და ფილოსოფიური. ნარკვევის ავტორი დეტალურად განმარტავს სახელმწიფოსა და განსხვავებულ რელიგიათა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის ფუნდამენტურ საკითხებს.

სერიის მეექვსე ტომი ეთმობა ცნობილი ქართველი მეცნიერის, პროფ. გურამ თევზაძის ნარკვევს „ებრაელ ფილოსოფოსთა ინტერპრეტაციები საქართველოში“ (2017 წ.). მასში გადმოცემულია სალომონ მაიმონისა (1753-1800 წწ.) და ბენედიქტე (ბარუხ) დე სპინოზას (1632-1677 წწ.) მოძღვრებათა ინტერპრეტაციები ქართველ მოაზროვნეთა მიერ. ნარკვევის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსე გოგიბერიძის კვლევების შედეგად მაიმონი ნეოკანტიანური ფილოსოფიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად გვევლინება. გ. თევზაძე ყურადღებას ამახვილებს სპინოზას ნაზრების მცდარი და დამახინჯებული ინტერპრეტაციის მცდელობებზე საბჭოთა საქართველოს ფილოსოფიაში.

სერიის მეშვიდე ტომი ორი ფილოსოფოსის ნაშრომს მოიცავს: (1) ჟაკ მარტენი, „ფილოსოფოსი ქალაქში“ და (2) თენგიზ ირემაძე, „ფილოსოფია და მსოფლსიბრძნე“. ეს ტომი დაიბეჭდა 2018 წ. მასში ვრცლად არის განხილული ფილოსოფიისა და ფილოსოფოსობის აუცილებლობა ყოველდღიურობაში. ერთი მხრივ, ნაჩვენებია სალი აზრის მქონე ადამიანის, ანუ იგივე ფილოსოფოსის აუცილებლობა ქალაქში, საზოგადოებაში, ხოლო, მეორე მხრივ, ფილოსოფოსობის მეშვეობით, ადამიანში მცდარი გზების დემონტაჟისა და ახალი ადამიანის დაბადების პერსპექტივებია დასახული. ამ კუთხით, აღსანიშნავია ავტორთა მიერ სიყვარულისა და მორალის კატეგორიების ხაზგასმა თანამედროვეობის გამონწვევათა კვალდაკვალ. საბოლოო ჯამში, ხსენებულ ნარკვევებში, წარმოდგენილია ქეშმარიტი ფილოსოფოსობის ხატი და ფილოსოფოსის წინაშე მდგარი ამოცანები, რომელთა გადაჭრა წინარე ფილოსოფიური მოდელის რეაქტუალიზებით უნდა განხორციელდეს.

სერიის მერვე ტომი კი ეთმობა გიორგი ხუროშვილის ნაშრომს „პლატონი ალ-ფარაბის პოლიტიკურ ფილოსოფიაში“ (2018 წ.). ავტორი აჩვენებს ისლამური კულტურისა და ალ-ფარაბის პოლიტიკური ფილოსოფიის მიმართებას ანტიკურ

აზროვნებასთან, კერძოდ კი, პლატონის პოლიტიკურ ფილოსოფიასთან. ავტორი ამ გამოკვლევაში წარმოდგენს ალ-ფარაბის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვან ეტაპებს და განიხილავს პლატონური ფილოსოფიის ზეგავლენას უშუალოდ ალ-ფარაბის პოლიტიკური თეორიის ჩამოყალიბების პროცესზე. ქართველი მკვლევარი ნათლად აჩვენებს ალ-ფარაბის მცდელობას, გადალახოს პლატონსა და არისტოტელეს შორის არსებული განსხვავებები.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სამეცნიერო სერია „აღმოსავლეთი და და-

სავლეთი - კულტურათა დიალოგი“ შესანიშნავად ასრულებს მის მიერვე დასახულ მისიას, ერთ კონტექსტში განიხილოს აღმოსავლური და დასავლური კულტურები და ამით ხელი შეუწყოს ამ კულტურათა ურთიერთგაგებისა და დაახლოების პროცესს.

**ბესიკ მაშავა**

*ქრისტიანული ფილოსოფიის მაგისტრი,  
ახალი საქართველოს უნივერსიტეტის  
კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის  
სამეცნიერო-კვლევითი არქივის  
ასისტენტი-მკვლევარი*